

სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
აცხადებს კონკურსს

ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ფასადისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის საუკეთესო საპროექტო წინადადებისა და არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზის გამოსავლენად

საკონკურსო პირობები შემუშავებულია კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის შესაბამისად (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანება N3) და UNESCO-ს 1978 წლის 27 ნოემბრის არქიტექტურული კონკურსების მოწყობის სანიმუშო დებულების პრინციპების გათვალისწინებით

1. კონკურსის დამკვეთი:

სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (შემდგომში „დამკვეთი“)

2. კონკურსის ორგანიზატორები:

სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის მერია

I.თავი

ზოგადი ნაწილი

1.1.კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზანია: თეატრის ფასადებისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის საუკეთესო საპროექტო წინადადებისა და არქიტექტურული კონცეფციის გამოვლენა.

1.2.კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ამოცანაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მოედნის სივრცით-არქიტექტურული თავისებურებების გათვალისწინებით როგორც ნაგებობის ახლებური მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტის შექმა, ასევე, მიმდებარედ საპროექტო სკვერის ტერიტორიის გეგმარებითი განვითარების საუკეთესო კონცეფციის გამოვლენა (დიზაინის ელემენტები, მცირე არქიტექტურული ფორმები, განათება, მწვანე საფარის განახლება და სხვ.), რაც საფუძვლად დაედება შესაბამისი არქიტექტურული-სამშენებლო პროექტის დამუშავებას.

1.3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ არქიტექტორს ან/და ქალაქთმგებმარებელს, როგორც ფიზიკური, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით.

1.4. კონკურსი გაიმართება ერთ ტურად, კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს 11 წევრისაგან შემდგარი საკონკურსო კომისია.

1.5. საკონკურსო განაცხადები და მასზე თანდართული დოკუმენტაცია განთავსდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ-გვერდზე www.archunion.ge

1.6. საკონკურსო წინადადების წარსადგენად კონკურსში მონაწილემ/ებმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე უნდა გადაიხადონ კონკურსში მონაწილეობის საფასური 50 ლარის ოდენობით. ერთ მონაწილეს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge

1.7. კონკურსის პირობებით, გამარჯვებულის/ების გამოვლენამდე, უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ანონიმურობა.

1.8. კონკურსში მონაწილეები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობა და კონცეფციის ანონიმურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაცია.

1.9. კონკურსის ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.10. საკონკურსო წინადადებების წარდგენა და კონკურსის წარმართვა იწარმოებს ქართულ ენაზე.

II. თავი

საკონკურსო პირობები

2.1 კონცეფციის მომზადებისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას

- ქალაქ თელავის ისტორიულ განაშენიანების კონტექსტი.
- თეატრის არსებული ფასადი და დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, თეატრის წინ არსებული კონსტრუქციები.

2.2. კონცეფციის დამუშავებისათვის კონკურსში მონაწილე პირებს, თანდართული მასალების სახით, შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) ტერიტორიის აერო-ფოტო გადაღება - მ 1:1000;

ბ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება - მ 1:500;

გ) თეატრის არსებული ფასადის აზომვითი ნახაზები - მ 1:200 ან/და CAD ფაილი;

დ) არსებული განაშენიანების განშლები - მ 1:200;

ე) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

თავი III

საკონკურსო წინადადება

3.1 საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტით და ელექტრონული ფორმით ამ თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

3.2 საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:

ა) განმარტებითი ბარათი: არაუმეტეს 4 გვერდისა, Sylfaen12 შრიფტით, 1.5 ინტერვალით;

ბ) გენგეგმა - მ 1:500;

გ) გრძივი და განივი ჭრილები - მ 1:200;

დ) ქუჩის განშლები - მ 1:200;

ე) ფოტომონტაჟი (მინიმუმ 2 ხედი);

ვ) შესრულებული კონცეფციის საპროექტო სამუშაოების საბაზრო ღირებულების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა, მათ შორის სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულება, სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება, ზედნადები ხარჯი %-ში, გეგმური დაგროვება %-ში, გაუთვალისწინებელი ხარჯები %-ში, დღგ-18 %.

3.3 საკონკურსო წინადადება, მისი გამოფენისა და პრეზენტაციის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ვერსიით, ჰორიზონტალურ ფორმატზე ზომით 120 სმ X 80 სმ, არაუმეტეს ოთხ ფორმატზე, ქართულ ენაზე PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით, არაუმეტეს 25 მგბ.) და დამატებითი ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (გაფართოებით 600 dpi). დაუშვებელია PDF და JPG პრეზენტაციაში ავტორის მითითება.

3.4. საკონკურსო წინადადების მთლიანი პაკეტის ელექტრონული ვერსია ატვირთული უნდა იქნას ქ. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე <http://telavi-gov.ge>, ასევე დალუქული კონვერტით წარმოდგენილი თეატრის მისამართზე: 2200 ქ. თელავი, ერეკლე II მოედანი N7, (E-mail : mikheil.dagundaridze@mail.ru; E-mail: telavi.meria@gmail.com : ტელ: 599532942).

3.5. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული კონცეფციის ავტორი/ები ქ. თელავის თვითმმართველ ერთეულს ნებას რთავს, კონცეფციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, მისივე მონაწილეობით, ცვლილებები შეიტანოს გამარჯვებულ კონცეფციაში.

3.6. კონკურსში გამარჯვებული კონცეფციის ავტორი/ები ქ.თელავის თვითმმართველ ერთეულს გადასცემს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს.

3.7. კონკურსში მონაწილე პირმა, ამ თავის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უნდა დაურთოს კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის ვინაობა (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- დ) სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად საკონკურსო განაცხადისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;
- ე) დახურულ კონვერტში წარმოდგენილი და ხელმოწერებით დადასტურებული საავტორო ჯგუფის წევრების თანამონაწილეობა გამოსახული %-ებში,

3.8. ამ თავის 3.7 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3.9. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ თავით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტს და არ არის წარმოდგენილი დათქმულ ვადაში, არ განიხილება.

1V.თავი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის ვადები (კალენდარი)

	ლონისძიება	დედლაინი
1	საკონკურსო წინადადებების მიღება-რეგისტრაცია	კონკურსის გამოცხადებიდან ორი თვის ვადაში
2	საკონკურსო წინადადებების განხილვა	განაცხადების მიღების დასრულებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში
3	შედეგების გამოცხადება	განაცხადების განხილვის დასრულებიდან სამ სამუშაო დღის ვადაში

4	ხელშეკრულების გაფორმება	შედეგების გამოცხადებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში
---	-------------------------	---

V. საკონკურსო კომისია

5.1. საკონკურსო წინადადებებს განიხილავს და კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის თანაშემწეს, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის ფუნქცია-მოვალეობებს.

5.2 კომისიის წევრის ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან/და ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრის ჩანაცვლებას ახორციელებს კანდიტატის წარმდგენი დაწესებულება.

5.3. კონკურსის ორგანიზატორი დაწესებულების თანამშრომლებს და კონკურსის მოწყობაში დაკავებულ პირებს ეკრძალებათ კონკურსში პირდაპირი ან/და ირიბი მონაწილეობა.

5.4. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კონკურსის აპარატი.

5.5.საკონკურსო კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.

5.6. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევრაზე მეტი.

5.7.კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

5.8.კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი.

5.9.საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა.პროფესიონალიზმი; ინფორმაცია კონკურსანტისა და ყველა მონაწილის სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ (CV-ს სახით);

ბ. საკონკურსო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება; განმარტებითი ბარათი პროექტის მოკლე აღწერით, მთავარი იდეის და კონცეფციის წარმოდგენით -არქიტექტურული იდეა (ნახაზები, ჩანახატები, რენდერები/ფოტომონტაჟი სხვა და სხვა ხედვის წერტილიდან კონკურსანტის შეხედულებისამებრ);

გ.განხორციელების რეალურობა; ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა;

დ. არქიტექტურული იერსახე და თვითმყოფადობა ისტორიულ გარემოსთან მიმართებაში;

ე. საპროექტო სამუშაოთა ღირებულება.

VI.კონკურსის შედეგები

6.1. საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს; არქიტექტურული პროექტის დამუშავებაზე შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს მასთან ხელშეკრულების გაფორმებას.

6.2. კონკურსის საპრიზო ფონდი შეადგენს 5 000 ლარს, რომლის გადახდაც განხორციელდება სსიპ ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფერსიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ.

6.3. გამარჯვებულ კონკურსანტთან/ებთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6.4. კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ჩაშლილად ითვლება თუ:

ა) საკონკურსო კომისია არ გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს

6.5. გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დამატებით ქვეყნდება: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქ.თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ვებ-გვერდებზე.

6.7. კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი ნამუშევრები უკან უბრუნდებათ.

7 თავი

კონკურსის გასაჩივრება

7.1. კონკურსანტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შეუძლია გასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საკონკურსო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში შემსყიდველთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

7.2. კონკურსის თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკურსთან დაკავშირებული დავის განხილვა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში „შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის N 11 ბრძანების შესაბამისად.

საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველოს. 2200 თელავი. ერეკლე II მოედანი. № 7, 2200

www.telavisteatr@gmail.com

www.telavistheatre.ge

ტელ: 599 11 11 89

საქართველო. 2200. თელავი. ერეკლე II გამზ. N16.

<http://telavi-gov.ge>

www.telavi.meria@gmail.com

ტელ: 0350-27-23-00